მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4
2021 წლის 8 თებერვალი

ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტში კურორტ ლებარდეს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 141-ე მუხლის მე-12 ნაწილის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების, „მარტივილის მუნიციპალიტეტში კურურტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 მაისის №13 დადგენილების საფუძველზე, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს კურორტ ლებარდეს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები.

მუხლი 2

დამტკიცდეს კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მარტვილის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსი გაბისონია**